| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

გაზეთი ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბთს, 27, მაისს.**

წევრნი კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა მოიწოდებიან წლიურ კრებაზედ დასასწრებლად კვირას, 24 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზედ. კრება იქნება საზოგადოების საპატიო და დამფუძნებელ წევრის ბარონ ა. პ. ნიკოლაის თავმჯდომარეობით.

განსახილველი საგნები:

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1890 და 1891 წწ.
2) ანგარიში ტფილისის საბაღოსნო სკოლისა 1890 და 1891 წწ.
3) მოხსენება ტარატინოვისა იმის შესახებ, რომ ყოველის სიმდიდრის საფუძველი ხვნა-თესვა და მიწად-მოქმედებაა.
4) მურომცევისა საცდელ სამეურნეო სადგურის გამართვის შესახებ სოფელს პატარძეულში.
5) არჩევანები საზოგადოების საბჭოს წევრთა, მდივნისა და ხაზინადარისა.

არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ ამ კრებას. (2—1)

აპეკუნი თავადი ზაალ თადეოზის ძის გურამოვისა გენერალ-მაიორი თავ. დიმიტრი ვეზიროვი ამით აცხადებს, რომ თიბათვის გასულს ამ წელს იჯარის ვადა თავდება ზაალ გურამოვის მამულებისა საგურამოში და ავჭალაში და, ვისაც ჰსურს აღება ამ ზემოხსენებულ მამულებისა, მიჰმართოს აპეკუნს ან სიტყვიერ, ან ქაღალდით სოფ. ოსიაურში, მიხაილოვის სტანციის ახლო. (4—1)

31 მაისს, კვირას,
დილის 11 საათზედ, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).
იქნება
**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**
საგანგებო კრება.
კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიშის განხილვა.
2) საზოგადოების ერთის წევრის საჩივრის გარჩევა წარსულ საზოგადო კრების შესახებ.
3) საზოგადოების წევრთა არჩევანი.
4) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. (6—4)

## ახალი ამბავი

*** დღეს მუშტაიდის ბაღში დანიშნულია სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრით მეორე გიმნაზიის შეუძლებელ მოწაფეთა სასარგებლოდ. სეირნობა დაიწყება შუადღის 12 საათზედ.

*** ორშაბათს, 25 მაისს, უნდა აკურთხონ ერევნის მოედანზედ გაშენებულ ბაღში პუშკინის ძეგლი. ამ დღისათვის ტფილისის ყველა საქალაქო სასწავლებლებიდგან ათ-ათი მოსწავლე იქნება მიწვეული და ამას გარდა ქალაქის საბჭოს ხმოსნებიც დაესწრებიან.

*** დღეს, კვირას, ქალაქის საბჭოს სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება „ქალაქის პირველ-დაწყებით სასწავლებლების გაჭირვებულ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა“. ამ საზოგადოებას აგერ უკვე ორი წელიწადია კრება არა ჰქონია და ამიტომ წრევანდელმა საზოგადო კრებამ ორის წლის ხარჯთა აღრიცხვა ერთად უნდა განიხილოს.

*** გუშინ, შაბათს, 23 მაისს, სანიტარმა-ექიმმა ქალაქისამ გამგეობას წარუდგინა პროექტი სადეზინფექციო სადგურისა, რომელიც ტფილისში უნდა გაიმართოს, რომ ფრთები შეეკვეცოს სხვა-და-სხვა გადამდებ სნეულებას. სადეზინფექციო სადგომი ორ-სართულიანი სახლი იქნება. ქალაქის გამგეობამ პროექტი უკვე წაიკითხა და ამ დღეებში წავა კომისია სადეზინფექციო სადგომის გასამართავ ადგილის დასათვალიერებლად. ამ სადგომის გამართვას ავლაბარში აპირებენ, გოგილოს აბანოს ახლოს. ექიმ-სანიტარის პროექტი ქალაქის ხუროთ-მოძღვარს გადაეცა.

*** ბ-ნ ნებიერიძეს „ლიონის“ ბაღის თეატრი «ანტეი» აუღია იჯარით და ამ ზაფხულს ქართულს წარმოდგენებს გამართავს ამ ბაღში. პირველი წარმოდგენა ხვალ არის დანიშნული წარმოადგენენ თ. რ. ერისთავის კომედიას «იჭვიანი», «ცოლებს რატომ არ ირთავენ» და ვოდევილს «გულმა იგრძნო».

*** ტფილისში ჩამოვიდა მისის უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატრიცას მამულების საპატიო მზრუნველი გენერალ-ლეიტენანტი სიპიაგინი.

*** ამ დღეებში ტფილისის ქალაქის მმართველობამ 480 მანათი გადასდო ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის 4 ცხენის სასყიდლად. რადგანაც ტფილისში ამ ჟამად ძვირია, ცხენებს კავკავში იყიდიან.

*** კავკავის გზაზედ სადგურ კობში 19 მაისს, დილის 10 საათსა და 55 წამზედ, მიწა იძრა ჩრდილო-აღმოსავლეთიდგან დასავლეთ-სამხრეთისაკენ.

*** ბეითალი ბოგოტოვი გაგზავნილ იქმნა სადგურ მიხაილოვში, სადაც ამას წინად ცხენებს ქოთაო გაუჩნდათ.

*** 19 მაისს სოფ. წინანდალში საშინელი ელვა-ჭექა იყო და კოკი-პირული წვიმა მოვიდა. მდინარე ქისისხევი ადიდდა და ვენახები და ბაღები წალეკა. ზარალი დიდია.

*** ფინანსთა სამინისტრომ აუკრძალა თამბაქოს მექარხნეებს პრემიით გაყიდვა პაპიროსებისა, რადგანაც პაპიროსების პრემიებით გაყიდვა ლატარიასა ჰგავს, რომელიც რუსეთში აკრძალულია კერძო კაცებისათვის.

*** ტფილისის მცხოვრები ტეროპანეზოვი, რომელსაც ქალაქის სასამართლომ 8 წლით კატორგაში გაგზავნა მიუსაჯა გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანაშემწეს მოკვლის განზრახვისათვის, 21 მაისს რკინის გზით ბაქოში გაგზავნეს და იქიდგან დანიშნულს ადგილს გაისტუმრებენ.

*** 21 მაისს ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე მინას ოლმანიძისა, რომელსაც ფურნეში ცხენი ჰყავდა დამწყვდეული. მომრიგებელმა მოსამართლემ ოლმანიძეს 5 მანათი ჯარიმა გადაახდევინა.

*** კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობამ იკისრა სახელმწიფო ხარჯით ტფილისში ტელეფონის გამართვა. ვისაც სურვილი აქვს აბონემენტი აიღოს ტელეფონისა, შეუძლიან მიჰმართოს ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს, ყოველ დღე, 9 საათიდგან 3 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა, შემდეგის თხოვნით:

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს.

მე, ამის ქვემორე ხელის მომწერს (წოდება, სახელი და გვარი), მსურს აბონენტი ავიღო ტელეფონისა და გთხოვთ ტელეფონი გამიმართოთ (ამა-და-ამ ადგილას) იმ პირობით, რომელიც მთავრობის მიერ იქნება დამტკიცებული. ხვედრი ფული (ვადა და ფულის რაოდენობა) წარმომიდგენია.

*** 21 მაისს სალოღლიში მიმავალი მატარებელი № 42 გზაზედ გაჩერდა, რადგან მრავალი კალია იწვა რკინის გზის ლიანდაგზედ. იძულებულნი შეიქმნენ მატარებელი ორ ნაწილად გაეყოთ და თითოეული ცალკ-ცალკე მიეტანათ სადგურს სალოღლიში.

*** 20 მაისს რკინის გზის სადგურ მცხეთის მახლობლად, 271 ვერსზედ, მატარებელი № 50 დაეჯახა «ვაგონეტას» და დალეწა. კაცთაგანი არავინ დაღუპულა.

*** ბაქო: რკინის გზის მე-741 ვერსის ყარაულმა, პიგასი გნიდინმა, გაუფთხილებლობით საფანტით გატენილი თოფი მოიხვედრა და დაიჭრა გულსა და მარცხენა ხელში. ექიმებმა სთქვეს, გნიდინი ვერ გადურჩება ჭრილობასაო.

*** სოფ. ტყიბულა: აქ ამ დღეებში გარდაიცვალა ერთი დედაკაცი, რომელიც, როგორც ამბობენ, 130 წლისა ყოფილა. ყურთა სმენა არ ჰკლებია, ხოლო თვალის სინათლე ხუთი წელიწადია, რაც დაჰკარგვია. მეხსიერება უკანასკნელ დღემდე შერჩენია და, რაც რომ თავისს სიცოცხლეში უნახავს, ან გაუგონია, სულ ყოველისფერი კარგად ახსოვდა თურმე.

*** 22 მაისს მტკვრის პირას კუზმინა პაპოვის ბაზმის ქარხანაში მანქანის თვლებს ქვეშ ჩავარდა ტფილისის მცხოვრებლის იაგორ ნუროვას 12 წლის შვილი ალექსანდრე და გასრისა.

## ნარევი

ერთი ჩვენი ნასწავლი ემაწვილი, რომელიც იდეით გატაცების გამო დიდხანს

# ფელეტონი

## სარჩობელაზედ

მშვენიერი, მყუდრო, მზით გაკაშკაშებული დღეა. ჩვეულებრივი ქარი აღარ დაგრიალებს ქუჩებში და არ აღელვებს მის ჩვეულებრივ მწვანე წუმპოებს. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად და თითო-თითოდ მიეშურება ქალაქის განაპირას, სადაც დიდი, არა ჩვეულებრივი საყველიერო „ობაა“—სარჩობელა, ჩამორჩობა თავისის მკაცრის პროცესიით, ზურნა-დაფით, ჯარის იარაღის ჩახა-ჩუხით, მუნდირების პრიალით, ბრალმდებლით, ჯალათის შემაძრწუნებელ წითელის სამოსლით და სხვა-და-სხვა თვალის გასაყოლებელ სანახაობით.

დიაღ, მთელი ქალაქი მიეშურება სარჩობელაზედ, სადაც დაინახავს, დასტკბება, ნიშნს მოუგებს თავის აღმაშფოთებელ, ტკბილის ძილის დამფრთხობელ ყაჩაღების „ჩამოპონწიალებას“. მიეშურება ერი, მღვდელი, დიდი, პატარა, ქალი, კაცი, მიეშურება სხვათა შორის ბაბაჭუა-ფეიქარაც, ეს ოდესღაც ქალაქის „პერვი გილდიის“ ვაჭარი და დღეს-კი...

არ ვიცი, ღმერთმანი, დღეს რა ვუწოდო ბაბაჭუას! ეს-კი ვიცი, რომ სრულის კმაყოფილებით, თითქმის თავ-მოწონებით მიდის და სხვა მიმსვლელთ ცოტა არ იყოს სიამაყით გადასცქერის. მართლაც, კიდეც უნდა ამაყობდეს: შეხეთ ამის საამურ, დიდებულს ქურქს, ამის კარტუზიან, ატლასის მაგვარ მაუდის ქუდს, ამის ვიწრო, მოდაზედ შეკერილ პოლსაპოჟკებს, შავს, ლაიკის ხელ-თათმანებს, რომელიც მშვენიერად უფარავს ქსელისაგან დასერილ-დაქსელილ ხელებს...

მაგრამ პირი-კი, უნდა გამოვტყდე, ვერაფერი შესაშური და თავმოსაწონი აქვს ბაბაჭუას; თავ-მოსაწონი-კი არა, უკაცრაული პასუხია, პირველ შეხედვაზედ ისეთს ზიზღს, ისეთს უსიამოვნებას იგრძნობთ, რომ სურვილი მოგივათ შეაფურთხოთ მოლოკვილ, უწვერ-ულვაშო, ქოსა პირს და მეორედ აღარ შეხვდეთ ამ გველაძუა მწვანე-ლურჯ, პატარა, უწამწამო ურცხვს თვალებს.

მაგრამ უყურეთ, ზიზღის მაგიერად, იმ კეკლუცმა ქალმა რა ნაზად გაუცინა და მეგობრულად ხელიც გაუწვდინა. აგერ სქელ ეპოლეტიანმაც როგორ მიუალერსა, ყურში რაღაც საამური ჩასჩურჩულა და ამ საზიზღარ, საჭურისივით მოღმეჭილ პირს რა საზიზღარმა ღიმილმა გადაუარა. ბაბაჭუამ დიდ მნიშვნელობით ჩაახველა, ნაზს ქალს თვალი თვალში გაუყარა და ბასი გაუმართა:

— სარჩობელაზედ მიბძანდებით? სწორე მოგახსენო, ღირსია სანახავად იმ ავაზაკების პონწიალი. რა რიგად გადმოუცვივათ თვალის კაკლები, რამოდენაზედ გადმოეკიდებათ ენები!

— ოჰ, რას ბძანებთ, ბ-ნო ბაბაჭო? ღრეჭით წარმოსთქვა ნაზმა არსებამ და თვალებზედ ხელი მიიფარა: საშინელებაა!

— როგორ თუ საშინელებაა? რას ბძანებთ! დარჩობა-კი არა, სულ ნაკუწ-ნაკუწ უნდა აეკეპნათ, ლუკმა-ლუკმა უნდა დაეგლიჯნათ, თოფით გულ-მუცელი დაეფხრიწათ. ეგ ჰარამზადეები, ეგენი! მთელი სამი თთვე თვალი რიგიანად არ მამიხუჭავს, კურდღელივით ყურები აცქვეტილი მქონდა და ველოდი, ჰა, ან ეხლა მოვლენ და ან ეხლა-მეთქი. რა ხუმრობაა წვითა და დაგვით მონაგარი გროში ვიღაც ავაზაკმა, ვიღაც ოსმა უნდა წაიღოს და ქარზედ გააბნიოს. არა, ძალიან მიხარიან, რომ იმათ ჩამორჩობასა ვნახამ. დეე, ნახონ სხვებმა იმისთანაებმაც, რომ უკანონოდ სხვის ქონების დაჩემებას რა მოსდევს.

— უკანონოდ?! განა კანონით სხვის საკუთრების დაჩემებაც იქნება?

— რატომ, კნეინა, განა, ეხლა ვსთქვათ, თქვენ რომ მე დაგიჩემოთ, განა ეგ კანონიერი არ იქნება?.. მაშინ სხვაა, რომ მოგიტაცოთ, ძალა ვიხმარო, თქვენი ქმარი დავჭრა; თუ არა-და, აქ უკანონო რა არის? აქ მხოლოდ მორიგება და თანხმობაა.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, ნაღვლიანად და წამოწითლებითა სთქვა კნეინამ.

— გუშინ ტორგით ერთი კნიაზის მამული დამრჩა. ამბობენ, ათასი თუმანი ღირსო და შენ ოცში დაინარჩუნეო, ეგ უსვინიდისობაა, ყაჩაღობააო! ვა, აქ სვინიდისი რა შუაშია, ხომ არ მომიპარავს, ტორგი საქვეყნოდ იყო. რატომ სხვამ არავინ მოუმატა და თითონ არ წაიღო, მე რა შუაში ვარ. ღმერთი და კანონი მაძლევს და არ ავიღო?!

— დიაღ, იმასაც ამბობენ, ბაბა-

იყო რუსეთის მაღალ-უნებური სტუმარი, გულ-მხურვალედ ამტკიცებდა წრევანდელს საბანკო კრებაზედ, რომ ბანკის მოგებიდგან უთუოდ უნდა გადავდოთ ასი თუმანი დამშეულთათვის რუსეთშიო.

ოსუნჯობის მოყვარე ქართველს არ გამოეპარა ეს ამბავი და ასე იხუმრა:

— ჭაი, ბიჭავ, რა ძალიან დასხსომებია ამ დალოცვილს რუსების პურ-მარილიო.

## ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

16 მაისი

ამ დღეს კრება შეუდგა 1892 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ხოლო რადგან ამ საგანთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა მმართველობის მოხსენებას დივიდენდის მოსპობის შესახებ, ამიტომ ეს ორი საგანი დაუკავშირეს ერთმანეთს. მოხსენებაში ნათქვამია, რომ რათა აღსრულებაში იქმნას მოყვანილი დადგენილება წარსულის წლის საზოგადო კრებისა და განძლიერებით გადასწყდეს ის ვალი, რომელიც ბანკის ქარვასლაზედ ითვლებაო, საჭიროა გამოიცვალოს ბანკის წესდების პარაგრაფი, რომლითაც 20% წმინდა მოგებისა მმართველობის წევრთა და ბანკის მოსამსახურეთ ეძლევა. მმართველობა იმ აზრისაა, რომ ეს პარაგრაფი ამ გვარად უნდა შეიცვალოსო: 5% მიეცეს ადგილობრივს საზოგადოებას წერა-კითხვის გავრცელებისას ტფილისის გუბერნიაში მდაბალ სამეურნეო სასწავლებელთა შესანახად და 15%—იმ ფონდის შესადგენად გადაიდოს, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ტფილისის გუბერნიის მიწად-მფლობელთა და მიწად-მომქმედთა მკვიდრის საჭიროებანიო.

მ. კ. მაჩაბელი. საქმე იმაშია, ვის უნდა დაეკუთვნოს ეს სახლი, როდესაც ვალს მოვრჩებით? თუ ბანკის საკუთრებად დარჩება, დიდი თავის ტკივილი აღარა სჭირია, ჩქარა მოვიშოროთ ვალიო. უწინარეს ყოვლისა ის უნდა ვიშუამდგომლოთ, რომ ეს სახლი ბანკის დამფუძნებელთა საკუთრებად იყოს მიჩნეული და როდესაც ამისი ნება-რთვა მოგვივა, მაშინ დავიწყოთ გაძლიერებით გადახდა ამ ვალისა. ჩემის აზრით, შემოსავალი ამ ქარვასლისა, როდესაც დამფუძნებელთა წევრთა საკუთრება შეიქნება, საზოგადო სასარგებლო საქმეებისათვის უნდა გადაიდოს, დამფუძნებელ წევრთა სურვილისა თანახმად.

თ. ი. აკალიშვილი. მე მგონია, რომ ბ-ნ მაჩაბლის მიერ აღძრული საგანი იმდენად რთული საგანია, რომ მისი ამ კრებაზედ გადაწყვეტა ყოვლად შეუძლებელია. რომელიმე აზრი, სიტყვაზედ, მეც შემიძლიან მომივიდეს ამ საგნის შესახებ, მაგრამ აქ განა ამის განხილვის დროაა. ჯერ ყოველ მხრივ განხილულ და აწონილ-დაწონილ უნდა იქმნას და მერე ისე განვიხილოთ საზოგადო კრებაზედ. ამიტომ კრებასა ვთხოვ, რომ ნუ დაუკავშირებს ერთმანეთს საგანს ქარვასლის ვალის გაძლიერებით გარდახდისას და იმ საგანსა, რომ რა უნდა ვუყოთ ამ სახლსაო.

თ. ი. გ. ჭავჭავაძე. წესდების პარაგრაფის სწორედ იმ სახით შეცვლა, როგორც მმართველობის მოხსენებაშია აღნიშნული, საჭიროა, რადგან ფინანსთა სამინისტრო იმ §-სა, რომლითაც 35% წმინდა მოგებისა საზოგადო საქმეებსა ჰხმარდება, ხელშეუხებლადა სთვლის და არა თანხმდება, რომ ეს 20%, რომელიც ეხლა დივიდენდად იხარჯება, იმ 35% მიემატოს. ამ ჟამად, როდესაც სრულიად მოშორებული გვაქვს თავიდგან ქარვასლის გადაკეთების ხარჯი, ადვილად შეგვიძლიან უფრო გაძლიერებით გადავწყვიტოთ ბანკის ქარვასლის ვალი. იმის მაგიერ, რომ 2% მივიღოთ ხოლმე ჩვენის თავისუფალის ფულისა, რომელსაც სახელმწიფო ბანკში ვინახავთ, თუ ქარვასლის გარდახდა განძლიერებით დავიწყეთ, მაშინ 6% შემოსავალი დაგვრჩება ჩვენის ფულისა, რადგან გირავნობის ფურცლებს გამოვიხსნით. მმართველობა გთხოვთ, რომ ამის შეძლება და ღონე მოგვცეთ, ხოლო ამისათვის-კი დივიდენდის მოსპობაა საჭირო.

თ. ი. ციციშვილი. დეე ქარვასლა ბანკს დარჩეს, გამოვიხსნათ, ხოლო დივიდენდის მაგიერ-კი ბანკის მოსამსახურეებს ჯამაგირი მოვუმატოთ. ყველამ კარგად იცის, რა დიდად გაჭირვებულნი არიანი ჩვენი შვილები განათლების მხრივ, ხოლო თუ ბანკს შეძლება და საშუალება არ ეყოფა, განა ჩვენ ვერ შევუდგენთ ფონდსა, თავად-აზნაურობა. მომთხოვეთ და ყოველ წლივ ამ საქმისათვის იმდენს გადავიხდი, რამდენსაც გადამიწყვეტთ და რამდენიც შემეძლება. უეჭველია, სხვებიც დათანხმდებიან სხვერპლის მოტანას ამ სასარგებლო საქმისათვის... (ტაშის ცემაა)

გ. ი. თარხნიშვილი. ქარვასლა დამფუძნებელ წევრთა სახელზედ რომ დამტკიცდეს, როგორც მ. ვ. მაჩაბელი ამბობს, საქმე დიდად აიწეწ-დაიწეწება და დაიხვლანჯება. ჯერ ერთი ისა, რომ ყოველ დამფუძნებელ წევრზედ ცალკე უნდა დამტკიცდეს. იქნება რომელმამე მათგანმა თავისის ნაწილის გაყიდვა მოინდომოს და სხ. მე წინააღმდეგი არა ვარ ბ-ნ მაჩაბლის აზრისა, მაგრამ მის მიერ წინადადებული საშუალება-კი საგანს არ შეესაბამება.

გ. გაბაშვილი. მმართველობა ამბობს, რომ 5% მოგებისა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გადაიდოსო. ძალიან კარგი, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ეს საზოგადოება გაუქმდეს, ან გადასხვაფერდეს. განა არ შეიძლება, რომ ეს §-ი როგორმე სხვაფრივ აღვნიშნოთ. რაც შეეხება ქარვასლის ვალის განძლიერებით გარდახდას, ეს საქმე მხოლოდ მაშინ უნდა დავიწყოთ, როდესაც ნება მოგვეცემა ჩვენის მამულების შემოსავალი ჩვენდა სურვილისამებრ მოვიხმაროთ და საყოველ-შემთხვევო თანხაში არ იქნება ჩარიცხული, რადგან თუ ვინიცობაა ბანკს გაჭირვება რამე დაატყდა, ამ თანხასაც ის დღე დაადგება, რაც სათადარიგო თანხას.

თ. ი. გ. ჭავჭავაძე. ბანკის წესდებით, მოგების განაწილების საქმე ხელ-შეუხებელი უფლებაა დამფუძნებელ წევრთა. ამ თანხიდგან რომ ქარვასლის ვალი გავისტუმროთ, აშკარაა სახლიც ჩვენი საკუთრება იქნება. დანარჩენი თანხები იქნება პასუხის-მგებელი ბანკის მოვალეთა და არა ეს სახლი. ამიტომ ამ მხრით არავითარი შიში არ უნდა გვქონდეს.

თ. ი. გ. მაჩაბელი. წრევანდელს კრებას ერთად-ერთი აზრი აქვს და ეს აზრია სიკეთე ჩვენის ბანკისა. ჩვენდა განსახილველად წარმოდგენილი მოხსენებანი და საკითხნი უფრო სწრაფად და ადვილად გადასწყდებოდა, ნათლად და გარკვევით რომ იყოს წინადადებული. ჩემის აზრით, საჭირო არ არის სრულად, რომ ჩვენი სახლი დამფუძნებელ წევრთა სახელობაზედ მოიპოვოთ, შიში არაფერი აქვს მის საყოველ-შემთხვევო თანხაში ყოფნას და ნურავინ იფიქრებს, ვითომ საქმე ისე გაგვიჭირდება, რომ ამ სახლის ხელის ხლებასაც ვიქნებით იძულებულიო. შემოსავალი-კი ამ ქარვასლისა ჩვენის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უნდა გადაიდოს.

ი. გ. ჭავჭავაძე. მე აქაური ლაპარაკი მაკვირვებს. ჯერ შეძლება მოგვეცით ვალი გადავიხადოთ და დრო ბევრი გვაქვს იმის საფიქრებლად, რა ვუყოთ სახლს, როცა ვალისაგან განთავისუფლდება და ჩვენი საკუთრება შეიქმნებაო. ბანკი ამბობს, რომ ვალი მინდა მოვიშორო, რათა ეს სახლი უვალოდ გვქონდესო, და მეგობარი კალთიდგან მეწევა, არა, ჯერ ის მითხარი, როცა ვალს მოიშორებ, უვალო სახლს რას უზამო? საკვირველი არ არის განა? აქ ლაპარაკია, ვალის მეტობით გადახდის უფლება მოგვეცითო, და არა სახლის ყიდვის შესახებ.

ნ. ა. ხუდადოვი. ქარვასლის ვალი ბანკის საერთო შემოსავლიდგან გადავიხადოთ, როგორც აქამომდე მის გადაკეთებაზედ დახარჯულს ფულს ვიხდიდით.

დ. ი. აკალიშვილი. კანონი მაგის ნებას არ მოგვცემს, რადგან მხოლოდ ზარალის გარდახდა შეიძლება საერთო შემოსავლიდგან. სახლი-კი უნდა მოვიპოვოთ იმ წმინდა მოგების შემწეობით, რომელიც დივიდენდის გაუქმების შემდეგ დარჩება.

ნ. ი. ნიკოლაძე. ჩვენს კრებაზედ ზოგიერთი საგანი ყოველ დასს ერთად აერთებდა და აკავშირებდა. ამ საგანთა შორის ითვლებოდა დივიდენდის გაუქმების საქმეც. ამასობაში დღეს-კი ამ საგნის შესახებ დიდი პოიარობის ლაპარაკია ატეხილი და გამორკვეული ვერა გადაგვიწყვეტიარა. ნება მომეცით გულ-ახდილად აღვიარო, რომ დღევანდელი ლაპარაკი ისე ზედმოქმედებს ჩემზედ, როგორც არა-გულწრფელი ლაპარაკი...

თავმჯდომარე ზარას აწკარუნებს და მოლაპარაკესა სთხოვს, რომ თავდაჭერით, ზომიერად ილაპარაკეთო. დარბაზში დიდი ხმაურობაა ატეხილი. თ. ი. გ. მაჩაბელი სცენის კიბეზედ შეხტება და კრებას გასძახის, რომ ბ-ნმა ნიკოლაძემ შეურაცხება მოგვაყენათ, არა-გულწფელი გიწოდათ და ამიტომ ამ სიტყვებისათვის ბოდიში უნდა მოიხადოსო. მ. ვ. მაჩაბელი დარბაზის შუაგულს წამომხტარა და ხელების ქნევით რაღაცას ლაპარაკობს ხმა-მაღლა. ხმაურობა ერთი-ათად ჰმატულობს, ყველანი ყვირიან, არა ისმის-რა. თავმჯდომარე ამაოდ სცდილობს წესი და რიგი ჩამოაგდოს და ამიტომ იძულებულია კრება შესწყვიტოს მცირეოდენის ხნით.

თხუთმეტს წუთს შემდეგ კრება კვლავ დაიწყო.

თავმჯდომარე. კრებას უფლება არა აქვს ვისმე ლაპარაკი შეუშალოს და შეაწყვეტინოს. რაკი მე ამომირჩიეთ თავმჯდომარედ, მევე უნდა მენდოთ: როცა საჭირო იქნება, მე შევაჩერებ მოლაპარაკეს, თუ საგანს გადასცდა და წრეს გადავიდა. მაგ გვარის საქციელით-კი თქვენ ჩემს უფლებას არღვევთ, თქვენ მიერვე ამორჩეულის კაცის უფლებას.

გ. გაბაშვილი. ეხლა მეტად სამწუხარო ამბავს დავესწარით. გამოგიტყდებით, სულ არ მოველოდდი, თუ ვნებათა ღელვა ასე გაძლიერდებოდა და კეთილ-გონიერებას სულ ერთიანად დავივიწყებდით. ის უნარი ჩვენთა კრებათა ყველა მოლაპარაკის აზრის დამშვიდებით და პატივის-ცემით მოსმენისა, რითიც აქამდე თავი მომწონდა, ეხლა აღარსადა სჩანს. დიდად ვწუხვარ ამისათვის და განგიცხადებთ, რომ საქმისათვის მოსულნი კაცნი, თუ კვლავ ასე იყო, იძულებულნი იქნებიან თავი დაანებონ კრებას და გაშორდნენ. ვთხოვ ბ-ნს ნიკოლაძეს, თავისი სიტყვა დაასრულოს. ამისი უფლება აქვს და ვერავინ წაართმევს ამ უფლებასა (ტაშის ცემაა).

ნ. ი. ნიკოლაძე. მე ფიქრადაც არ მომსვლია კრების შეურაცხება. დიდი პატივისცემა რომ არა მქონდეს კრებისა, არც ვიტყოდი რასმეს ასეთს კრებაზედ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ მე მონაწილეობას არ ვიღებ აქ ატეხილ ბრძოლა-დავაში და არც ერთს დასს არ ვეკუთვნი. მე უცხო, გარეშე კაცი ვარ და, მაშასადამე, მით უფრო აზრად არ მომივიდოდა ვისიმე შეურაცხება. თუ ზოგიერთი ჩემი სიტყვა შეურაცხებად ეჩვენა ვისმე, ეგ ჩემი რა ბრალია... მე მინდოდა მხოლოდ განმეცხადებინა კრებისათვის, რა დიდი ბოროტიც იყო აქამდის დივიდენდი. ყველანი აქამდე იმ აზრისანი იყვნენ, რომ დივიდენდი სასარგებლო და საჭირო არ არისო, იმის გამო არა სასურველი დამოკიდებულება არსებობს ბანკის მოსამსახურეთა და საზოგადოებას შორისო. რაც უნდა ფიქრადაც არ მოსვლოდათ ბანკის მმართველებს, იმ უფლებით, რომ მოგებიდგან დი-

---

ქო, კნიაზი სვიმონი იმის დარდმა გადიტანა, რომ ფეიქარამ სახლი გაუყიდა, ცოლ-შვილი გამოურეკა და თითონ შიგ გამოიჭიმაო.

— რასაკვირველია, ამბობენ, მაგრამ მე რა მენაღვლება, ტუტუცები რას ამბობენ: სვიმონს ჩემი ფული ემართა, დროზედ არ მომცა, ფული თავის უთაურობით ერთი ათად აქცია და სახლი მე დამრჩა. მაშ მეპატიებინა? მე ბაბაჭუას კნიაზ სვიმონისთვის? მერე იკადრებდა-კი?

— კნეინა თალოს ზვარიც უსამართლოდ დაინარჩუნაო. ერთის ვექსილით ფული ორჯელ გადაახდევინაო, დაუძატა კნეინამ.

— უსამართლოდ! დიდი ტყუილია, დიდი. თვით „სუდებნი პრისტავმა“ ჩამაბარა კანონიერად. მე კიდევაც შემებრალა, კნეინა თაფლო რომ ტიროდა, და ორი მშვენიერი საკაბე გაუგზავნე; მეორე დღეს ბევრი მადლობა მოეწერა, თუ გინდა თქვენ თითონ გიჩვენებთ იმის წერილს.

— დიდყურაანთ-კარის საქმე როგორღა გაათავე?

— ჯერ არ გათავებულა, „სუდებნი პალატაშია“. მაგრამ წინ რა უდგას? ტყუილად ჰხარჯავენ ადვოკატებზედ. რომ არ ეჩივლათ, კიდევ დავაცლიდი ერთ-ორ წელიწადს, მაგრამ ეხლა ისე გაჯავრებული ვარ, თქვენმა მზემ, კნეინა, რომ რა დღესაც ჩავიბარებ, ბარგს კარზედ გადმოვუყრი. მერე რა ნაირად მინდა იმ დალოცვილ ალაგას ცხოვრება! მაშინვე ალებ-მიცემაზედ ხელს ავიღებ, ხვნა-თესვას-მევენახობას დავიწყებ; ისეთ საქონელს, ისეთ ცხენებს გავიჩენ, ქვეყანას თვალები ზედა რჩებოდეს. რომ მეწვევით, კნეინა, იმ მშვენიერ სამოთხის კუნჭულში, თქვენთვის საუკეთესო ოთახი ყოველთვის მზა იქნება, თქვენთვის შევინახავ.

— უწინამც დღე დამლევია! განა სოფელშიაც უნდა გავიარო შენ სახლში? ცოტა არ იყოს ზიზღითა სთქვა კნეინამ.

— მართლა, კნეინა, სასტიკად ჰკითხა ამ ზიზღის გამო აღშფოთებულმა კავალერმა თავის მესაუბრეს: გუშინდელი ჩემი გამოგზავნილი „პროვიზია“ როგორ მოეწონათ თქვენს სტუმრებს?

— გმადლობ, გმადლობ, ჩემო ბაბაჭუა, შენი ნაყიდი აბა ცუდი რად იქმნებოდა, მერე საფეშქაშოდ! და თავისი წინანდელი ზიზღი ახლა დიდმნიშვნელოვან ღიმილით ჩაატკბარუნებინა ფეიქარას.

— ფეშქაშებს მაშინ უყურე, როცა ახალშენსაც ჩავიბარებ. ამბობენ, რვა ოთახი სუ ძვირფასის საფენით და ოქროს ქსოვილის ბალიშებითა აქვთ მოწყობილიო. ოქრომკედით ნაკერი ბალიშები განა შენ „გოსტინას“ არ დაამშვენებს, გველურის ღიმილით წასჩურჩულა ბაბაჭუამ თავის „დამას“.

— განა ახლშენიც შენ დაგრჩება კანონით? ოჰ, უბედური თამარ, თავს ხომ აღარ იცოცხლებს იმ სახლის დამკარგავი. ოჰ, ბაბაჭო, რა რიგად გაქვს დაქსელილი შენი წყეული ქსელები! ადრე თუ გვიან, სულ შიგ გაებმის მთელის მაზრის თავად-აზნაურობა, მთელის მხრის ბატონი შენ შეიქმნები!

— რატომ, ჩემო კნეინო, ამაყად ჩაიცინა ფეიქარამ: ეხლა ისეთი დროა, რომ თუ ცოტაოდენი ფული და ჭკუა გაქვს, თუ ცოტაოდენი ხერხიც მოგდევს, ქვეყანა შენია და შენი.

— მერე არ გეშინიან, რომ არ შეგარჩინონ ტ ბრაზ-მორეულმა ყელში არავინ ამოგადინოს ამდენი სხვას ნაკოლოპურტალი.

— მეშინიან? მერე კანონი? სამართალი სადღა არი?...

ტრა, ტრა, ტრა-ტატა! დაიგრიალა დოლაბანდმა და ყაჩაღებიც გამოჩნდნენ. წინ მოუძღოდათ მღვდელი ჯვრით ხელში, გვერდში ამოსდგომოდათ ჯალათი წითელის ტანისამოსით, უკან მისდევდნენ პოლიციელნი, ჯარის-კაცნი და სხვა ამალა. პროცესია დიდის ცერემონიით და გაზვიადებით გაემართა ჩამოსარჩობ ბოძებისაკენ.

ბაბაჭუამ სკამზედ შეაყენა თავისი „დამა“, თითონ იმავ სკამზედ ხელდაბჯენილი დააკვირდა სარჩობელას და მოუთმენლად მოელოდდა უკანასკნელს წამს კანონის ასრულებისას.

ეს კანონიერი ყაჩაღი, პირ-მოცინარი, კმაყოფილებით და არხეინად სტკბებოდა უკანონო ყაჩაღების ჩამორჩობით და ერთს წამსაც არ გაუვლია იმის ურცხვს, მოლოკვილს პირისახეზედ იმ აზრს სინანულისას, რომელსაც უნდა გამოეწვევდეს ამ გვარი საქვეყნო განსჯა ავაზაკისა.

ეკ. გაბაშვილისა

13 თებერვალი 1892 წ.

ვიდენდი გვერგება, ბოროტად ვისარგებლოთო, მაინც ბევრს მიზეზი, საბაბი ჰქონდა ეჭვი შეეტანა, განგებ ხომ არ აზვიადებენ მოგებას, რომ დივიდენდი მეტი მიირგონო. ასეთი მდგომარეობა არაფრად სასურველი და სასარგებლო იყო არც თვით ბანკის მმართველობისა და მოსამსახურეთათვის და არც საზოგადოებისათვის. ყველას მუდმივი სანატრელი სურვილი ის იყო, რომ მოვსპოთ, გავაუქმოთ, ძირიან-ფესვიანად ამოვაგდოთ ეს წყარო უთანხოებისა და შფოთისაო, ესე იგი დივიდენდი. აგერ გამოგიჩნდათ ასეთი პატივცემული მმართველობა, რომელიც თითონვე თავს უდვია და გირჩევთ, დივიდენდი მოვსპოთო. იმის მაგიერ, რომ ხელი ჩავსჭიდოთ ამ კეთილს შემთხვევას და ბოლო მოვუღოთ დაუბოლოვებელს უთანხმოებას დივიდენდის გამოისობით, ჩვენ საქმეს ვაჭიანურებთ და რაღაცა ბარდებში ვებმევით. ჩემის აზრით, პირ-იქით, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გავათაოთ ეს საგანი, მმართველობის სურვილი დავამტკიცოთ და ამითი მოვრჩეთ და მოვისვენოთ. აი, ამის თქმა მინდოდა და არა მგონია, ამ სიტყვებში ვისიმე შეურაცხება რამ იყოს (ხანგრძლივი ტაშის ცემაა).

მ. კ. მაჩაბელი. მეც მაგას ვამბობდი. მაგ მხრივ, მე მგონია, ყველანი ერთის აზრისანი არიან. მე აზრად მქონდა, პროექტი წარმომედგინა, დიდად ვრცელი პროექტი, თქვენდა განსახილველად, იმიტომ-რომ მარტო ჩემს თავს ვერ ვენდობოდი.

კრებამ ერთ-ხმად შეიწყნარა მმართველობის წინადადება დივიდენდის გაუქმების შესახებ და აგრეთვე იმის გამო, რომ ქარვასლის ვალი გაძლიერებით იქმნას გარდახდილიო.

## ერთი კარგი საქმე კიდევ!

ქართული სახალხო წიგნთ-საცავი და სამკითხველო.

ერთი კარგი საქმე კიდევ იკისრეს ჩვენმა ქართველმა ქალებმა. ამ ორის თთვის წინად სთხოვეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ნება აიღეთ იაფ ფასის ბიბლიოთეკის და სამკითხველოს გამართვისა და ჩვენ ვიკისრებთ საქმის წარმოებასაო.

ეხლა ზემოხსენებულ საზოგადოებას მოუვიდა ნება-რთვა და ამ ცოტა ხანში ქალები აპირებენ გაჰმართონ ღარიბ ხალხისათვის წიგნთ-სამკითხველო. ეს საქმე სხვაგან და სხვებისათვის ახალი საქმე არ არის, მაგრამ ტფილისში საკუთრივ ქართული ბიბლიოთეკა ხალხისათვის პირველად იმართება და იმედია, ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ საქმეს, ხელს გაუმართავს შემოწირულობით და გაამხნევებს იმ ქალებს (უმეტესი ნაწილი მათგანი მასწავლებელი ქალები არიან), რომელთაც იკისრეს ამ საქმის წაყვანაცა და ხარჯიც. შემოწირულობა მიიღება ყოველ გვარი: ფულითაც, წიგნებითაც და თუნდა სახლის მოსაწყობელ ავეჯეულობითაც „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში.

ვინმე ქალი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. კასპი** (ქართლი, ლეხურის ხეობა, 10 მაისი).—წარსულს წელიწადს, 10 მაისს, ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი მობრძანდა კასპში და აქიდგან გაემგზავრა ქართლის სხვა-და-სხვა სოფელში. რამდენსამე სოფელში მეც დავესწარ. მისმა ბრწყინვალებამ დიდი ყურადღება მიაქცია სკოლებს და მეტადრე საზოგადო პურის ამბრებს. აუხსნა სოფლელებს, რა სარგებლობა შეუძლიან მოიტანოს პურის ამბრებმა: „დღეს რამდენიმე სოფელი ვიცი, რომლებმაც ყურადღება მიაქციეს თავიანთ ეკონომიურს მდგომარეობას, დააარსეს საზოგადო პურის ამბარი, ყოველ წელიწადს ბეჯითად შეჰქონდათ საერთო „მაღაზიაში“ ოთხი ფუთი ჭირნახული კომლზედ და როდესაც სულ ერთად შეკროვდებოდა, ამ ჭირნახულს ჰყიდდნენ და ფული ხაზინაში შეჰქონდათ შესანახად. ამ რიგად იქცეოდნენ ყოველ წელიწადს და ეხლა იმათ იმდენი თანხა შეუდგათ, რომ ამ მოკლე ხანში იმედი გვაქვს, იმ ფულის სარგებლით მოიშორონ ყოველივე სოფლის ხარჯი, ე. ი. ფოსტის ფული, სკოლის ფული და სხვა“. სოფელ კასპში აგერ თორმეტი წელიწადია, რაც არსებობს სასოფლო პურის ამბარი. ბ-ნ გუბერნატორის მობრძანების დროს ამბარში აღმოჩნდა ოც-და-ათი კოდი პური ნაღდი. ამას გარდა არცა-რა გაყიდული და არცა-რა გასესხებულია. ასე ცოტა აღმოჩნდა იქ, საცა ასსამოცი კომლი კაცი სცხოვრობს.

გუბერნატორმა დიდად უსაყვედურა სოფლელებს, მომეტებულად გორის მომრიგებელ-შუამავალს და ადგილობრივ ბოქაულს. ამას შემდეგ კასპელები ისე ბეჯითად მოეკიდნენ ამ სასარგებლო საქმეს, რომ ყარიბსაც-კი, რომელსაც ორის თთვის საგძალი არა ჰქონდა, დიდის სიამოვნებით მიჰქონდა თავისი ხვედრი ოთხი ფუთი პური ანუ ქერი სასოფლო ამბარში ჩასაბარებლად. ამ გვარად, კასპელებს მოუგროვდათ სასოფლო ამბარში შემოდგომაზედ ას ოცი კოდი პური და ქერი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ოთხას ორმოცი ფუთი, მაგრამ ვისიც ჯერ იყო, იმათ დაუდევრობის გამო ამ ამბავმა ფუჭად ჩაიარა. სოფელს არა ჰქონდა ბეღელი, იქირავეს ერთის გლეხკაცის სახლი და იქ ჩაყარეს ზემოხსენებული ჭირნახული. ამ სახლში ჩავიდა ავდარი და ისე გააფუჭა, რომ ას ოც კოდში მეოთხედი არ ამოირჩევა. ამის მნახველმა ვკითხე მეამბრეებს, რატომ არ გაჰყიდეთ-მეთქი? მიპასუხეს, რომ რამდენჯერმე მივმართეთო გორის მაზრის მომრიგებელ-შუამავალს და ბოქაულს, მაგრამ არც ერთმა ყურადღება არ მოგვაქციაო. არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბავი და მეამბრეების ბრალია, თუ ადმინისტრაციისა. ესეც არ იყოს, მეაპბრეები რად ჰქირაობდნენ იმისთანა სახლს, სადაც წვიმა ჩავიდოდა, როდესაც სოფელში რამდენიმე ბეღელი იპოვება და, დარწმუნებული ვარ, ვისთვისაც მიემართათ, არავინ დაუჭერდათ, ვიდრე თითონ ააშენებდნენ, არა თუ ფასად, უფასოდაც. ბრალი ყველას ედება ამ დაუდევრობისა და, სხვათა შორის, სუდია-მამასახლისსაც, მაგრამ ამათ ვამართლებთ. სოფელ კასპში წელს დიდი მოსავალი იყო ღვინისა, გასავალი არა აქვთ და ვინ დალიოს?

აგერ თთვე არის, რაც სოფელ კასპში ერთს კომლს უდგია შავი სახადი. ორი კარგი ვაჟკაცი კიდეც იმსხვერპლა და ამ ჟამად ავად არიან იმათი ცოლებიც. მაზრის ექიმს აცნობეს ეს ამბავი, ჩამოიარა გზად (ავადმყოფები არ უნახავს), გამოჰკითხა მამასახლისს, როგორ არიან ავადმყოფები, რითი და საიდგან მოიტანეს ეგ ავადმყოფობაო. იმანაც მისცა დარიგება და გასწია შინისაკენ. ესეც კარგია. რა ჰქნას ექიმმა?!. „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო“. სახადით ავადმყოფები სხვა სოფლებშიაც არიან, მაგალითად სოფ. იგოეთში და სამთავისში.

ამ ხეობაზედ ამ ზამთარს იყო გავრცელებული ქურდობა. სხვათა შორის, ორი ქურდობა უფრო შესანიშნავი იყო. ერთი სოფელ ქვემო-ჭალაში და მეორე იგოეთში. სოფელ ქვემო-ჭალაში ქვრივის კნეინა ნინო ამილახვრის სახლი გაქურდეს. იმ ჟამად სახლის პატრონი სცხოვრობდა ტფილისში და სახლის დარაჯად ეჭირა ერთი გლეხ-კაცი. ღამე შესულიყვნენ ოთხი ავაზაკი, დარაჯისათვის ნაბადი წაეხურათ თავზედ და რაც სახლში ავეჯი ყოფილიყო, სულ წაეღოთ. სახლის პატრონს ეჭვი აქვს თავის მახლობელ ნათესავსა და მეზობელზედ. სოფელ იგოეთში ჩიტოზაალიშვილის სახლიდგან, როდესაც სახლის პატრონები ეკკლესიაში იყვნენ და სახლი ერთს პატარა გოგოს სინამარას იყო დარჩენილი, შესულა სახლის პატრონის მახლობელთაგანი და მოუპარავს პატარა თუნუქის ყუთი, რომელშიაც შენახული ჰქონიათ ცოტაოდენი ფული, ნივთები და თამასუქები, სულ ოთხმოც-და-ათის თუმნისა. მიზეზი შურისძიება ყოფილა. ორივე საქმე გამომძიებლის ხელშია.

გენო—ლახვარი

## „სოფელ მეტეხის ოთხთავის“ აღწერის შესავსებლად.

ვთხოვთ ბ-ნ მ. ჯანაშვილს ნება გვიბოძოს, შეძლებისამებრ შევავსოთ ნაკლი მისის აღწერილობისა („ივერია“ № 76—80). აღმწერი წიგნთა, სახელით ბესარიონი, ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი: 744 წ. იყო აღმწერი მეფე არჩილის წამებისა ლეონტი მროველთან ერთად; იგი იყო მთავარ-ეპისკოპოსად მცხეთისა 695—745 წელთა შორის.

ნიკოლოოზ კათალიკოზი (№ 76 „ივერია“), ამა სახელით იყო მეშვიდე, იყო ძე კახთ მეფის ლეონისა და განაგებდა საქართველოს ეკკლესიას 1585—1591 წწ. შორის. „ქორონიკონსა ხოზ (272+1312=1584 წ.) მიიცვალა კათალიკოზი ნიკოლოოზ ბარათაშვილი (ძმა საჩინოსი) და ნებითა და ბრძანებითა ღვთისათა კათალიკოზ იქმნა ძე კახთ მეფის ლეონისა თთვესა ფებერვალსა ვÐ დღესა შაბათსა“, ასრე ვკითხულობთ „ქ.-ცხოვრებაში“ II ნაწ., 297 გვ.

ამა ნიკოლოოზ კათალიკოზთან ჰქონდა (1589 წ.) სადიპლომატო მიწერ-მოწერა რუსეთის პატრიარქს იობს. მიწერ-მოწერის საგანი, ჩვენის ფიქრით, იყო რუსეთის საპატრიარქოს დამოუკიდებლობის აღიარება, რასაც იმავე დროს (1587—1592 წ.) რუსეთის მთავრობა ითხოვდა აღმოსავლეთის ოთხ პატრიარქისაგან და იაფად არ დაუჯდა, თუმცა საწადელი სრულიად ვერ აღისრულა, ე. ი. რომ რუსეთის პატრიარქს მეოთხე ადგილი სჭეროდა შემდეგ იერუსალიმელ პატრიარქისა. ნიკოლოოზმა საჩუქრად გაუგზავნა პატრიარქ იობს კარგი წაბლისფერი ცხენი, რასაკვირველია, თანხმობის ნიშნად, დესპანის ზვენიგოროდსკის ხელით. (Переп. груз. цар. съ русск. госуд., IV—V გვ.), ნიკოლოოზ კათალიკოზი ჰხატია ათონის მთის ივერიის ლავრის საზოგადო სატრაპეზოში. მიიცვალა 1591 წ. ნიკოლოზი იყო ღვიძლი ძმა დედოფლის ნესტან-დარეჯანისა, სვიმონ მეფის მეუღლისა, და ამავე კახთმეფის ალექსანდრესი.

აშოთან ბატონიშვილზედ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ქორონიკონს „ტჲ“ შეცდომით ათვლით მეცამეტე მოქცევას; უნდა მიეთვალოს მეთოთხმეტე მოქცევას, ესე იგი 1312+360=1672 წ. და აი რათა: სიტყვა „ბატონი“ და მისი მხლებელი „ბატონიშვილი“ უცნობნი არიან იმ დროჲსა, ე. ი. 1140 წ., როგორც ანგარიშობთ. „ბატონის“ მაგიერ იმ დროს, და შემდეგაც-კი კარგა ხანს, ჩვენს სიტყვიერებაში მონაცვლეობდა სიტყვა „პატრონი“ *) (იხ. ქ.-ცხ. 538 გვ. 18 სტრიქ. „პატრონ-ყმობა“), რისგანაც იშვა ჯერ „ბატრონი“, შემდეგ „ბატონი“. ჩვენის ფიქრით, აშოთანი არის ერთ-ერთი წევრი მუხრან-ბატონის ოჯახისა XVII საუკუნეში, სახელდობრ მახლობელი ლუარსაბისა (როსტომ მეფის შვილობილისა) და ამ დროსაც ხომ (1661—1675 წ.) კათალიკოზად იყო დომენტი, ძე ქაიხოსრო მუხრან-ბატონისა, ხოლო მეფედ ვახტანგი V, ძე თეიმურაზ მუხრან-ბატონისა, მარაბდის ომში მოკლულისა. მართლაც წოდება „აშოთანი“ უკანასკნელ სამ საუკუნეში ტრიალებს მუხრან-ბატონის ოჯახის წევრთა შორის.

ჩვენს მოსაზრებას აშოთანის ცხოვრების დროს შესახებ წარწერის პალეოგრაფიულმა თვისებამ უნდა დასდვას მსჯავრი. საზოგადოდ მუხრან-ბატონის ოჯახის წევრნი ბატონიშვილებად იწერებოდნენ ხოლმე. იხ. ქ.-ცხ. 522—536 გვ.

მწერალი დიმიტრი თანამედროვეა ნიკოლოოზ კათალიკოზისა, რომელსაც „მეტეხის სახარება“, ჩვენის ფიქრით, უნდა დარჩენოდეს წინამოადვილესაგან (ნიკოლოოზ კათალიკოზისაგან), რომელიც იყო ძმა საჩინო ბარათაშვილისა; ანა ბარათაშვილის ასული (საჩინოსი?) არის მეუღლე მუხრან-ბატონისა. ეჭვი არა გვაქვს, რომ ქაიხოსრო, ძე ანასი, არის მამა დომენტი კათალიკოზისა და მუხრან-ბატონი შემდეგ თეიმურაზისა.

მღ. პ. კარბელაშვილი

*) ჩემის ფიქრით, სიტყვა „პატრონი“ შემოტანილია საქართველოში ევროპიდგან XI საუკუნის დამლევს, ჯვაროსანთა ომების დაწყების დროიდგან. „პატრონი იმასვე ნიშნავს ავსტრია-გერმანიაში თითქმის, რასაც საქართველოში. ეგ სიტყვა ევროპაში საშუალ საუკუნოებშივე იხმარებოდა ამავე მნიშვნელობით.

# რუსეთი

„სასკოლო აგარების“ გამართვა პირველად შვეიცარიაში განიზრახეს მესამოც-და-ათე წლებში. აზრად ამის განმზრახველებს ისა ჰქონდათ, რომ უპატრონო და შეუძლებელ მოწაფეებისათვის მოეხერხებინათ ზაფხულობით სოფელში დროს გატარება დასასვენებლადა და ჯანზედ მოსასვლელად. 1888 წელს ციურიხში საერთაშორისო კონგრესიც-კი მოხდა ამ საგნის თაობაზედ. იმ კონგრესის დროს აღნიშნულ და ერთხმად აღიარებულ იქმნა კეთილი შედეგი „სასკოლო აგარებისა“. ამ ახალს საქმეს ყველანი დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ. შვეიცარიის მაგალითს მიჰბაძეს გერმანიამ, დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებმა და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც. თუ რაოდენ საყურადღებო საგნად მიიჩნიეს „სასკოლო აგარები“, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, როგორც ზემოდა ვსთქვით, რომ საერთაშორისო კონგრესი მოახდინეს, რომელსაც სამოც-და-ათამდე დელეგატი დაესწრო ათის სხვა-და-სხვა სახელმწიფოსი.

ამ ჟამად მთელი დასავლეთი ევროპა მოფენილია მრავალის „სასკოლო აგარით“. იშვიათია ისეთი ქალაქი, რომ თავისთვის არა ჰქონდეს გამართული ხსენებულ გვარი აგარი შეუძლებელ და უპატრონო მოსწავლეებისათვის. პარიჟში ამ საქმისათვის საზოგადოებაა დაწესებული, რომელიც ყოველ ზაფხულობით ათასობით ყმაწვილსა ჰგზავნის აქეთ-იქით სოფლად. პარიჟს საფრანგეთის სხვა პროვინციებმაც მიჰბაძეს და იქაც გამართეს ასეთივე საზოგადოებანი. სხვა სახელმწიფოებშიაც ასევე გამრავლდა „სასკოლო აგარები“.

რუსეთი აქამდე ამ საქმეში უკან ჩამორჩენილი იყო სხვა სახელმწიფოებზედ, მაგრამ ამ ბოლოს დროს იქაც დაიწყეს „სასკოლო აგარების“ დაარსება. ჯერ პირველად აქა-იქ კერძო კაცებმა გაიმართეს თავიანთ მოსწავლეთათვის აგარები სოფელ ადგილებს, ხოლო საერთო საზოგადოება მონაწილეობას არ იღებდა ამ საქმეში. მხოლოდ 1882 წელს დაწესდა პირველად კომიტეტი „სასკოლო აგარებისა“. კომიტეტმა მიჰმართა საზოგადოებას, ფული შეჰკრიბა და იმ წელსვე ორმოც-და-ათზე მეტი მოსწავლე გაისტუმრა სოფლად საზაფხულოდ სხვა-და-სხვა ადგილას. კომიტეტმა მხნედ განაგრძო თავისი ახალი საქმე და 1887 წელს მეორე აგარიც გამართა მოსწავლე ქალთათვის. როგორც ოფიციალურ ცნობათაგანა სჩანს, ორისავე აგარის საქმე ძლიერ კარგად მიდის ამ ჟამად.

თავისის ნაყოფიერის მოქმედებით წაქეზებულმა და გათამამებულმა კომიტეტმა შარშან შუამდგომლობა დაიწყო უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ თავისთვის წესდება დაემტკიცებინა თავის საქმის გასაძლიერებლად. შარშან შემოდგომაზედ საერო განათლების სამინისტრომ უკვე დაამტკიცა ხსენებული წესდება. ამის გამო მალე გაიმართება „სასკოლო აგართა საზოგადოება პეტერბურგის საშუალო სასწავლებელთათვის“. ეს საზოგადოება საზაფხულოდ გაგზავნის ყმაწვილებს სოფლად 9—14 წლისანებს, თუ თვით სასწავლებელთა მთავრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა მოითხოვს ამას. აგარები ვაჟთათვის ცალკე იქნება გამართული და ქალთათვის კიდევ ცალკე. ავადმყოფ ყმაწვილების წამლობა და საზოგადოდ სამკურნალო ზედამხედველობა „სასკოლო აგარებისა“ დაეკისრებათ ცალკე ექიმებს, რომელნიც წევრნი იქნებიან ზემოხსენებულის საზოგადოებისა. „საზოგადოება“ დაექვემდებარება საერო განათლების სამინისტროს, ხოლო „საზოგადოების“ მიერ გამართული აგარები—პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს. „საზოგადოების“ საქმეთა გამგეობა და წარმოება მიენდობა საბჭოსა და საზოგადო კრებას.

## უცხოეთი

**საბერძნეთი.** ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაზედ საბერძნეთიც თავის განყოფილებას ჰმართავს და გაჰგზავნის ამერიკაში თავის ქვეყნის ნაწარმოებს.

**სერბია.** 11 მაისს დილით დააპატიმრეს პორუჩიკი მახი, რომელიც ბოლგარიის ჯაშუში ყოფილა. სერბიის მთავრობამ სწორედ იმ დროს დააპატიმრა მახი, როცა ის პირატსა და საზღვარ შუა სიმაგრეების ფოტოგრაფიულ სურათებს იღებდა.

**ოსმალეთი.** ტრაპეზუნდიდგან სწერენ გაზეთს „მშაკს“, რომ ოსმალეთის მთავრობას აღუკრძალავს მთელს ოსმალეთში „მშაკის“ მიღება. ამის გამო ტრაპეზუნდის ფოსტაში „მშაკის“ რამდენიმე ცალი დაუპატიმრებია პოლიციას.

გაზეთი „Temps“-ი სწერს, რომ ხონთქარს ნება დაურთავს რუსეთის მთავრობისათვის, რომ მან სან-სტეფანოში ძეგლი აუგოს ოსმალეთთან ბრძოლის დროს ამ ადგილას დახოცილს რუსეთის მეომრებს.

**ავსტრია.** მლადოჩეხების მეთაურნი ამ ჟამად ამომრჩეველთა ოლქებში დადიან და ავრცელებენ თავისს პოლიტიკურს პროგრამას. ამ დღეებში გრეგრი რაუდნიცაში მივიდა. მიუხედავად მთავრობის აკრძალვისა, ხალხი ათი ათასობით მიეგება გრეგრსა და აღტაცებით ყვიროდა: „გაუმარჯოს ჩვენს მეთაურსაო!“ კრების დროს გრეგრი ამბობდა, რომ ყველას უნდა მიენიჭოს სახელმწიფო საქმეების შესახებ სჯა-ბაასისა და საქმის გარდაწყვეტის უფლებაო. გრეგრმა სთქვა აგრეთვე, რომ თუ ავსტრიაში ჩეხური ფული და ჩეხების ჯარი არ იქნება, ავსტრია დაიღუპებაო. დასასრულ გრეგრიმ დასძინა, რომ თუ ვინიცობაა ევროპაში ომი მოხდა, შეიძლება ავსტრიის სახელმწიფო დაირღვეს და ჩეხიის სახელმწიფო დაარსდესო.

**გერმანია.** ამ მოკლე ხანში ბერლინში მოელიან გრაფ კაპრივის. გაზეთები ამბობენ, რომ კაპრივის ძლიერ არგო კარლსბადის წყლებმაო.

**ბოლგარია.** ეს რამდენიმე დღეა, ბოლგარიის სოფლის მცხოვრებთა და ადმინისტრაციას შორის ბრძოლა ასტყდა. ბრძოლა სოფელ კილიჩლიდგან დაიწყო. ამ სოფლის მცხოვრებლებმა ითხოვეს, სოფლის საბჭოს წევრები (მამასახლისი, მსაჯულნი და მწერალი) მთავრობამ-კი არ უნდა დაგვინიშნოს, ჩვენ თითონ უნდა ავირჩიოთო. ფილიპოპოლის ადმინისტრაცია ამაზედ არ დასთანხმდა და ამ სოფელში ჟანდარმები გაგზავნა ხალხის დასამშვიდებლად. სოფლის მცხოვრებლებს ჟანდარმებმა იარაღი წაართვეს, სცემეს და დააპატიმრეს კიდეც. საქმე ისე გამწვავდა, რომ მთავრობამ ამ სოფელში ერთი ბატალიონი ქვეითა ჯარი და ერთი ესკადრონი მხედარი ჯარი გაჰგზავნა. სოფელ კილიჩლის მცხოვრებთ სხვა სოფლების მცხოვრებნიც მიემატნენ და გაიმართა ბრძოლა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 5,000 კაცამდე შეიარაღებული ხალხი. ბრძოლის დროს მრავალი ხალხი დაიხოცა ორივე მხრიდგან. შეიარაღებული გლეხები მთებში გაიქცნენ.

## წვრილი ამბავი

ნიუ-იორკის საპატიმროს გაზეთის გამოცემის ნება დაურთავს პატიმრებისათვის. ამ გაზეთის რედაქტორებად და თანამშრომლებად თითონ პატიმარნი იქნებიან. გაზეთს სახელად ერქმევა „Dull Remember“.

— კოპენჰაგის ციხეში ერთი პატიმარია თურმე, რომელსაც 27 მილიონი ფრანკის სახლები და საქონელი გადაუწვავს. ამ შესანიშნავ გმირობისთვის ამ კაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ სამუდამო დაპატიმრებად შეუცვალეს.

— შეერთებულს შტატებში, ახალ მექსიკაში, შემდეგი ამბავი მომხდარა. ერთს ახალგაზდა ისპანელს, ხოზეპედროს ერთი ისპანელი გასათხოვარი ქალი, იზაბელა მარინი, დაუნიშნავს. ქორწინების დღე უკვე დაუნიშნავთ, მაგრამ საქმროს სხვა ქალი, ანჟელიკა მონცანი, შეჰყვარებია, დანიშნულისთვის თავი დაუნებებია და ეს ქალი შეურთავს. შეურაცხყოფილი დანიშნული ქალი ერთს დღეს ახალგაზდა ცოლ-ქმართ მძინარეებს მიჰპარვია, ხანჯალ მიუცია და შემდეგ ჯერ ერთისთვის მოუჭრია ენა, მერე მეორესთვის. დამნაშავე ქალი იმ წამსვე შეიპყრეს და სამართალში მისცეს თურმე. ახალგაზდა ცოლ-ქმარი მოარჩინეს, მაგრამ იმის შემდეგ უბედურნი ვეღარც ერთს ალერსს ვერ ეტყვიან ერთმანეთს.

— მკურნალები ლარშე, ტრუსო და დიუბეფი ამტკიცებენ, რომ დაუწმენდავი ნავთი მშვენიერი წამალიაო ხუნაგისა. საჭიროა მხოლოდ დღეში 2—3-ჯერ დაუწმენდელი ნავთი წაესვას ყელზედ ავადმყოფსაო. მკურნალი ტრუსო ამბობს, რომ ამ წამლობისათვის კავკასიის ნავთი სჯობია ამერიკისასაო.

## დეპეშა

23 მაისი

**პეტერბურგი.** ს.-პეტერბურგის ბირჟა: გირავნობის ფურცლები საადგილ-მამულო ბანკთა: ტფილისისა 6% $101^1/_2$ მან. მყიდ., 5%—99 მყიდ.; ქუთაისისა 6%—$101^1/_2$ მან. მყიდ., 5%—$99^1/_2$ მყიდ.; ობლიგაციები ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებისა $98^1/_2$ მან. მყიდ.

**ბერლინი.** თავად ბისმარკისა და იმპერატორის შერიგების თაობაზე ლაპარაკობენ, რომ თავადი ბისმარკი და იმპერატორი შემდეგს კვირაში ჰნახვენ ერთმანერთსაო. გავლენიანი კაცნი სცდილობენ, ხელი შეუშალონ მათს შერიგებას, რადგან იქიდგან სიკეთეს არას მოელიან; ხოლო ზოგიერთა დასი მახლობლებისა თავის მხრივ სცდილობს, შერიგება მოახდინოს და იმედი აქვთ, რომ პირველს ნაბიჯს შესარიგებლად ბისმარკი გადასდგამსო. იმპერატრიცა თითქო შერიგების წინააღმდეგ ლაპარაკობს; გრაფი ვალდერზე შერიგებას ჰმომხრეობს; გრაფი კაპრივიც წინააღმდეგობას არ უწევს შერიგებასა.

**პარიჟი.** ნანსში შეიკრიბა 20-მდე საგიმნასტიკო საზოგადოება დასასწრებად სტუდენტთა დღესასწაულზე, რომელიც, როგორც ეტყობა, ძლიერ დიდის ამბით ჩაივლის.

**კოპენჰაგენი.** მეფე-დედოფალმა და ყველა უავგუსტოეს სტუმართ გუშინ ფრედენსბორგში იდღესასწაულეს მემკვიდრე პრინცის დაბადების დღე.

პეტერბურგის ბირჟა, 22 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,57 | 7,61 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151,60 | $152^1/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 242 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $221^1/_2$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 193 | $193^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.<br>
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „<br>
„ „ 2<br>
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „<br>
„ „ „ 2 „ „ „<br>
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.<br>
მე-2 „ „ „ „ .<br>
მე-3 „ „ „ „ „<br>
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „<br>
„ „ 2 „ „<br>
სუკი — — — 14 „<br>
ცხვრის ხორცი — — 9 „<br>
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „<br>
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „


## განცხადებანი

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—50)

**გასაფრთხილებლად.**

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი

ოლეო-ვაზელინის

**როიალ-კონგო**

მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ე. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.

საპარფიუმერო ფაბრიკა

„ვიქტორია რეგინა“

**ე. ბოდლოსი და ამხ.**

მოსკოვს.

ისყიდება ყველგან! (10—7)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . . | 1 | 20 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| გეომეტრია მ. ზ. ყოფიანისა, ნაწილი | | |
| „ II სტერეომეტრია | | |
| „ უმდაბლესი გეოდეზია | | |
| „ IV ზოგიერთი კანონები ტრიგონომეტრიის და „ V—ლოგარითმოსის ტაბლიცებისი . . . | „ | 50 |